პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 125 (9792)
29 ივნისი
ოთხშაბათი,
1988 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიხსნა XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია

28 ივნისს, დილის 10 საათზე კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენცია. დარბაზში მყოფნი ტაშით მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს **მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს.**

დამტკიცდა დღის წესრიგი:

1. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის ძირითადი შედეგები და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები გარდაქმნის პროცესის გაღრმავებისათვის.
2. პარტიისა და საზოგადოების ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის ღონისძიებანი.

მოხსენება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

(საკდესი).

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი

წყალში ხტომა, ჩვენს რესპუბლიკაში, სპორტის ის სახეობაა, რომელიც უკვე კარგა ხანია, რაც აღმავლობას განიცდის. ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლას საფუძვლიანი ოპტიმიზმით შევყურებთ და ისინიც იმედს გვიმართლებენ.

ოლეგ ვასილჩენკო.

ჩვენი წყალში მხტომელები, როგორც ჩანს, არც სარატოვში მიმდინარე ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ თამაშებზე გვაწბილებენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ნაკრების წარმომადგენლები ლიდერთა შორის არიან. ისინი გუნდურ პირველობაში, მოსკოველთა შემდეგ, მეორე ადგილზე იმყოფებიან.

ეს შეჯიბრება რამდენიმე დღის წინათ დაიწყო და ასპარეზობამ, როგორც იტყვიან, ეკვატორი უკვე გადალახა.

საქართველოს წარმომადგენელთაგან ჯერჯერობით ყველაზე კარგ შედეგს მიაღწია მწვრთნელ ლიუდმილა გუტიაკულოვას აღსაზრდელმა, თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა იური შუკუროვმა, რომელმაც 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

კოშკიდან ხტომაში მესამე იყო მეცხრეკლასელი თბილისელი მოსწავლე ოლეგ ვასილჩენკო.

ოლეგს იოსებ ელბაქიძე ავარჯიშებს.

აღსანიშნავია, რომ ვასილჩენკოს წარმატება ელბაქიძისთვის, როგორც მწვრთნელისთვის, პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ისიც საინტერესოა, რომ შეჯიბრებაზე გამგზავრებამდე ვასილჩენკომ ტრავმა მიიღო. მან ასპარეზობაზე არა თუ წარმატების, არამედ საერთოდ შეჯიბრებაში გამოსვლის ყოველგვარი იმედი დაკარგა. იგი სარატოვში, შეიძლება ითქვას, ყოველი შემთხვევისათვის წაიყვანეს.

კოშკიდან ხტომაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდა თბილისელი მოსწავლე ნანა ნებიერიძეც, რომელმაც მეხუთე ადგილი დაიკავა და ჩვენს გუნდს ქულათა მნიშვნელოვანი რაოდენობა შემატა.

ძალზე სამწუხარო მარცხი იწვნია ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გოჩა გახარიამ, რომლისგანაც ყველანი მედალს ელოდნენ. იგი მართლაც ლიდერთა შორის იყო. უკანასკნელი ნახტომის წინ გოჩა ვერცხლის მედლის ყველაზე რეალური პრეტენდენტი გახლდათ, მაგრამ სწორედ ის ნახტომი გაუფუჭდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე ჩამოქვეითებულიყო.

სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალში ხტომაში

თბილისელის მეორე თასი

თბილისელ გიორგი შელიუგოვს ყველანი — თავისი გულშემატკივრებიც და მეტოქეებიც — საკავშირო თასის მოპოვებას ულოცავდნენ. სამწუხაროდ, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გიორგის მეტოქეები გაცილებით მრავლად ჰყავდა, ვიდრე... ტრიბუნებზე თავმოყრილი გულშემატკივრები. არადა, ჩვენი წყალში მხტომელები გულშემატკივართაგან გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებენ. ამას თუნდაც ეს შეჯიბრებაც მოწმობს, სადაც, როგორც ვიუწყებოდით, თბილისელმა დიანა მჭედლიძემ ორი მესამე ადგილი დაიკავა, ასპარეზობის ბოლო დღეს კი მისმა თანაგუნდელმა გიორგი შელიუგოვმა 5-მეტრიანი კოშკიდან ასპარეზობაში გაიმარჯვა.

შელიუგოვისთვის ეს პირველი ყველაზე დიდი წარმატებაა. მართალია, შარშან საკავშირო თასი მოიპოვა, მაგრამ მაშინ სინქრონულ ხტომებში გაიმარჯვა, 5-მეტრიანი კოშკიდან ხტომა კი, შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით მაინც ექსპერიმენტულ სახეობად ითვლება. ამიტომ ახლანდელი გამარჯვება გაცილებით პრესტიჟულია, მით უმეტეს, რომ შეჯიბრებაში თბილისელი გიორგი ჩოგოვაძის გარდა ყველა უძლიერესი სპორტსმენი გამოდიოდა.

— ამ შეჯიბრებისთვის დიდი მონდომებით ვემზადებოდი. პირველ ადგილსაც ვუმიზნებდი, თუმცა, რა თქმა უნდა, გამარჯვების ნაღდი გარანტია არ მქონდა. ერთადერთი ნახტომის გაფუჭებას შეიძლებოდა ყველაფერი წყალში გადაეყარა — გვითხრა მან ასპარეზობის შემდეგ.

● საკუთარ ძალებში არც მაშინ დაეჭვებულხართ, როცა სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებული ნახტომების შემდეგ მეხუთე ადგილზე იყავით?

— არა, გამარჯვებისა მაშინაც მჯეროდა. სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერებს უმნიშვნელოდ ჩამოვრჩებოდი. მერე ნებისმიერი პროგრამების სერია იწყებოდა, აქ კი თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ.



შემდეგ შელიუგოვის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სსრ კავშირის წყალში მხტომელთა ნაკრების უფროს მწვრთნელს იური კრუტოვს.

— შელიუგოვის გამოსვლას ბოლო დროს გულმოდგინედ ვაკვირდები, — ამბობს კრუტოვი. — მან ოსტატობა საგრძნობლად აიმაღლა. გიორგის სტაბილური, კარგი პროგრამა აქვს და ნახტომებსაც კარგად ასრულებს. განსაკუთრებით მისი მებრძოლი ხასიათი მომწონს. ისე იბრძვის, რომ ბევრ გაცილებით ტიტულოვან წყალში მხტომელს შეშურდება. ზოგიერთივით ნერვები არასოდეს ღალატობს. ერთი სიტყვით, შესაშური ფსიქოლოგიური მომზადება აქვს. ახლა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები ეშერაში, შეკრებაზე მიგვყავს და იქ შელიუგოვიც მივიწვიეთ. ძნელი სათქმელია, ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდება თუ არა, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში სხვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, იგი ჩვენს გუნდში ადგილს უთუოდ დაიმკვიდრებს.

● ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა გამოსვლით კმაყოფილი ხართ?

— ვაჟების მიმართ პრეტენზიები არა მაქვს, აი, ქალების მომზადება კი ფრიად მაღელვებს. განსაკუთრებით შეფიქრიანებული ვარ მათი სპეციალური და ფიზიკური მომზადებით, უფრო სწორედ მოუმზადებლობით. ამ შეჯიბრებაზე, როცა სპორტსმენები სპეციალურ მომზადებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ლამის ქალების ნახევარმა ნორმატივები ვერ ჩააბარა და ისინი უშუალოდ წყალში ხტომაში საპაექროდ არ დავუშვით. ახლა, ეშერაში, ჩვენი მთავარი საზრუნავი სწორედ საერთო ფიზიკური და სპეციალური მომზადება იქნება. იქ თავს მოიყრის ოლიმპიური ნაკრების ყველა კანდიდატი. გამონაკლისი იქნება მხოლოდ მოსკოველი ელენა მოროშინა, რომელიც, როგორც პირველ ინტერვიუში გითხარით, ინდივიდუალური პროგრამით ემზადება.

ავთანდილ ბურასაშვილი,

ავტორის ფოტოები.

ტელეტაიპი - მკითხველი

მონტრე (შვეიცარია). მას შემდეგ, რაც იტალიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მესამე, დამატებით შეხვედრაში დაამარცხა ჩინეთის გუნდი 3:1, ცნობილი გახდა ოლიმპიური ტურნირის ყველა თორმეტი ფინალისტის ვინაობა. ესენი არიან: პირველ ჯგუფში — სამხრეთ კორეა, სსრ კავშირი, ბულგარეთი, იტალია, ბრაზილია და შვეიცარია, მეორე ჯგუფში — იაპონია, აშშ, არგენტინა, საფრანგეთი, ტუნისი და ჰოლანდია.

ბრიუსელი. მრავალდღიანი ველორბოლის — „ტურ ბელჟიკის" სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა ასეთი თანამიმდევრობით დაისაკუთრეს: 1. დმიტრი ნელიუბინი, 2. სერგეი ხმელინინი, 3. ალექსანდრე კრასნოვი.

პეკინი. ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება გაინაღდეს სსრ კავშირის, ჩინეთის (ეროვნული ნაკრები და ახალგაზრდული გუნდი) და პოლონეთის სპორტსმენებმა.

დოსააფის ორგანიზაციებში

19-22 ივნისს თბილისში, ლისის ტბის აკვატორიუმში ჩატარდა ნორჩ გემთმოდელისტთა 23-ე რესპუბლიკური შეჯიბრება, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ალკკ ცენტრალური კომიტეტი და დოსააფის ცენტრალური კომიტეტი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებების 10 გუნდი. გაიმარჯვა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გემთმოდელისტთა გუნდმა, მეორე ადგილზეა რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის, ხოლო მესამეზე—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის გუნდი. პირად ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: სამხედრო გემების თვითმავალი მოდელების კლასში — ი. ზიბზიბაძე, წყალქვეშა ნავების მოდელების კლასში — რ. ბაირამოვი, ფიგურული კურსის რადიომართულ მოდელებში— ა. ერემეევი, სამოქალაქო გემების მოდელების კლასში — ვ. ოჰანესიანი, სარბოლო მოდელების კლასში — ზ. წიწუაშვილი (ყველა — თბილისი), საიალქნო მოდელებში — ა. სტარჩიჩენკო (რუსთავი), კატამარანების კლასში — თ. ცანავა (წულუკიძე), ი. საფონოვი (ბათუმი).

სურენ ვართანესოვის ფოტოები.

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების წინ

მიზანი — საპრიზო ადგილი

კალათბურთელთა შეჯიბრებას ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით სარატოვი უმასპინძლებს. საქართველოს გუნდთან ერთად ქვეჯგუფში გამოვლენ ესტონეთის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და თურქმენეთის ნაკრები კოლექტივები. ორი უძლიერესი გუნდი ამ ზონიდან ამავე ქალაქში ფინალურ ტურნირში იასპარეზებს. რა გეგმები აქვთ ჩვენს კალათბურთელებს, როგორ ხვდებიან ისინი ამ პრესტიჟულ შეჯიბრებას? გვესაუბრება საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი **ვაჟა ჭკუასელი**.

— ბოლო, დასკვნითი ცამეტდღიანი საწვრთნელი შეკრება ესენტუკში გვქონდა. სწორედ აქ ვვარაუდობდით ნაკრების საბოლოო დაკომპლექტებას. მაგრამ კოლექტივი მაინც არ არის შეთამაშებული. ხელი შეგვიშალა იმან, რომ რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი მზადების პერიოდში გუნდთან არ იყო. მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში მოთამაშეთა დიდი ნაწილი თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის დუბლიორთა შემადგენლობაში გამოდიოდა. შეკრებების დროს კახაბერ შენგელია და არჩილ ხელაშვილი საბჭოთა კავშირის ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებშიც მიიწვიეს. გუნდის ლიდერი კახა შენგელია მზადების ბოლო დღეებში შემოუერთდა მეგობრებს. ისე რომ, ჩვენი ნაკრები ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებზე ფაქტობრივად შეუთამაშებელი მიემგზავრება. დარჩენილ დროში ყველაფერი უნდა ვიღონოთ ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად. გეგმები?

ბიჭებს შესწევთ იმის ძალა, რომ საპრიზო სამეულში მოხვდნენ.

იმ შემადგენლობიდან, რომელიც სარატოვში მიემგზავრება, ხუთი კალათბურთელი (გ. გვარამია, კ. შენგელია, ვ. კვეზერელი, ა. ხელაშვილი და მ. ნიკურაძე) 1987 წელს თბილისში გამართულ სპორტსკოლების I საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულია. ბიჭებს საკმაოდ აქვთ სატურნირო გამოცდილება და ეს ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. საქართველოს ნაკრებს სიმაღლის მხრივაც არა აქვს ცუდად საქმე. გუნდში გვყავს 2 მეტრისა და მეტი სიმაღლის კალათბურთელები.

გუნდის ბირთვს 58-ე სპეციალიზებული საკალათბურთო სკოლის აღსაზრდელები შეადგენენ. ორი მოთამაშე მოწვეული გვყავს ქუთაისიდან, ორიც — სამტრედიიდან, სამი წევრი თბილისის „ნორჩი დინამოდანაა". ისინი ყველანი ზემოხსენებულ სკოლაში სწავლობენ და ვარჯიშობენ.

ჭაბუკთა I საკავშირო სპორტულ თამაშებში საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. იმ კოლექტივის წევრთაგან, რომლებიც მაშინ თამაშობდნენ, დღეს ორი (დ. ტალაბაძე და ა. ფერიაშვილი) თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდში გამოდის. იმედია, ჩვენი დღევანდელი შემადგენლობიდანაც მოკლე ხანში რამდენიმე მოთამაშე დაიმკვიდრებს ადგილს დინამოელთა კოლექტივში.

ახლა კი გაგაცნობთ შემადგენლობას, რომელსაც მოუხდება რესპუბლიკის ღირსების დაცვა: დ. უსტიაშვილი, ლ. ვაშაკიძე, მ. ნიკურაძე, ზ. საკანდელიძე, ვ. კვეზერელი, ი. ბაქრაძე, ზ. გვარამია, ნ. კოკოლიშვილი, ბ. ბოლქვაძე, ა. ხელაშვილი, კ. შენგელია, გ. კორძაძე.

სიმაღლე — ძირითადი პრობლემა

II საკავშირო სპორტულ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად ვოლგოგრადში გაემგზავრება ჩვენი კალათბურთელი გოგონების გუნდი. გამგზავრების წინ ვესაუბრეთ საქართველოს გუნდის მწვრთნელს **ნუგზარ ჟეიშვილს**.

— ზონა, რომელშიც ჩვენი გოგონები მოხვდნენ, ალბათ ერთ-ერთი ძლიერი იქნება გათამაშებაში. მოსკოველები ანალოგიურ ასპარეზობათა მუდმივ ფავორიტებად ითვლებიან. ბოლო წლებში საკმაოდ ძლიერი კოლექტივი გამოჰყავს ყაზახეთსაც, ალბათ არც ყირგიზეთის წარმომადგენლები იქნებიან გულხელდაკრეფილნი.

ჩვენი ძირითადი მიზანი ქვეჯგუფში ორ უძლიერესს შორის მოხვედრაა. რა თქმა უნდა, ამ არცთუ იოლი ამოცანის გადაჭრაში, პირველ ყოვლისა, გოგონათა მონდომება და თავდაუზოგავი თამაში უნდა დაგვეხმაროს.

უკვე ექვსი თვეა, რაც რესპუბლიკის ნაკრები ამ ასპარეზობისათვის ემზადება. ფიზიკური წრთობა გუნდმა ბაკურიანში გაიარა. საწვრთნელი შეკრებები გვქონდა სოხუმში, ლესელიძეში. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილეობას, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის შემდეგ მეორე ადგილი დავიკავეთ.

მზადების ბოლო ეტაპზე ესენტუკში, მოსკოვის ერთ-ერთ ძლიერ გუნდთან ოთხი მატჩი გავმართეთ, რამაც დიდი დახმარება გაგვიწია შემადგენლობის საბოლოო დაკომპლექტებაში: ძირითად ბირთვს 58-ე სპეციალიზებული საკალათბურთო სკოლის აღსაზრდელები შეადგენენ. ორი გოგონაა მოწვეული რუსთავიდან, ერთიც ქუთაისელია.

რაც შეეხება ნაკრების პრობლემებს ეს პირველ რიგში მოთამაშეთა სიმაღლეა. წარმოიდგინეთ, ჩვენი ყველაზე ტანმაღალი კალათბურთელი, ცენტრალური თავდამსხმელი ქეთინო ქერდიყოშვილი მხოლოდ 183 სანტიმეტრი სიმაღლისაა, მაშინ როცა ჯგუფში მოასპარეზე ბევრი კალათბურთელი ამ სიმაღლით გამთამაშებლის ფუნქციებს ასრულებს. ორმეტრიანი კალათბურთელები სხვა გუნდებისათვის ჩვეულებრივი ამბავია. ძალზე გვაფიქრებს მეორე საკითხიც, კერძოდ ის, რომ ღია მოედნის უქონლობის გამო გუნდი დახურულ შენობაში ვარჯიშობდა. კეთილმოწყობილი ღია მოედანი მხოლოდ ლესელიძეში გვქონდა, ჭაბუკთა თამაშები კი ვოლგოგრადში ღია მოედნებზე გაიმართება.

ჩემთან ერთად ვოლგოგრადში მოემგზავრებიან მწვრთნელი ვლადიმერ ჩეხოვცევი და ივანე მელაძე. დადგინდა, გუნდის საბოლოო შემადგენლობაც: თეა კომლაძე, გვანცა ომიაძე, ფატი სამუშია, იამზე მაჭედბეგოვა, თინათინ ბაძგარაძე, ქეთინო ქერდიყოშვილი, ეკა მეგრელაძე, ეკა გლურჯიძე, ხათუნა კალანდარიშვილი, სვეტლანა მუდნიკოვა, ლია ჩეკურიშვილი და ლია მიქაძე.

ესაუბრა **ზაზა კახაძე**.

სპორტის განვითარებას — ბაზები!

ვინ როგორ ზრუნავს

ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის რაიონებში სპორტული ბაზების მდგომარეობის შესახებ წერილის მომზადება რედაქციამ დაავალა ზონის კორესპონდენტს.

ჩხოროწყუ. ბოლო წლებში რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტულ ბაზებს. აღსანიშნავია ლესიჭინეს აგროსამრეწველო კომბინატის (დირექტორი გ. ლემონჯავა) თაოსნობა, რომელმაც საუკეთესო სპორტული კომპლექსი მოაწყო. კარგი სპორტული ბაზებია ხაბუმეს ლენინის სახელობის, ქვედაჩხოროწყუს, ჩხოროწყუსა და ლესიჭინეს კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოში. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობაზე (დირექტორი ჯ. პაპასკირი, მეთოდისტი ი. ხორავა). აქ ერთ დროს კარგი ფეხბურთის მოედანი იყო, რომელიც სკოლის მშენებლობამ შეიწირა. ახლადაშენებული მოედანი კი სათამაშოდ უვარგისია.

ორი კოლმეურნეობის, ორი მეურნეობის და ჩაის ფაბრიკის წილობრივი მონაწილეობით შენდება სპორტული კომპლექსი სოფელ ლესიჭინეში, მაგრამ რატომღაც მშენებლობა აქ ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. წურწუმია. მეთოდისტი ა. ფაცაცია). ფეხბურთის მინდორი სათამაშოდ უვარგისია, სოფელს სხვა მოედანი არა აქვს, სოფელში კი ეს ერთადერთი სპორტული ბაზაა, რომლითაც საშუალო სკოლა და პიონერთა ბანაკი სარგებლობს.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სოფელ ზუმის, თაიის სპორტული ბაზები.

კირცხის მეცხოველეობის კოლმეურნეობის კომპლექსის (თავმჯდომარე ს. ქიქია, მეთოდისტი მ. მალანია) თანამშრომლები დიდი ხანია ითხოვენ მარტივი ტიპის მოედანს, მაგრამ დღემდე საშველი არ დაადგათ. ნუთუ ასეთ მძლავრ კოლმეურნეობას უჭირს ერთი მოედნის მოწყობა?

დაბის ცენტრშია აშენებული სპორტული კომპლექსი „სიჭაბუკე", მაგრამ ასფალტის საფარის უვარგისობის გამო სპორტის მოყვარულებს აქ თამაში უჭირთ.

წალენჯიხა. რაიონის ხელმძღვანელობა, სპორტის მესვეურები დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტული ბაზების მშენებლობა-კეთილმოწყობას. ბოლო ორი წლის განმავლობაში აქ რამდენიმე ბაზა აშენდა. ქალაქის საცხოვრებელი სახლების ეზოებში ორ ადგილას კომბინირებული სათამაშო მოედანი მოეწყო.

მშენებლობები მიმდინარეობს ლიას, წალენჯიხის მარქსის, ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში, მაგრამ [illegible] მუქავის, ორჯონიკიძის, ჩქვალერის, კომკავშირის, საჩინოს, კომუნიზმის სახელობის, ლარას და მედანის კოლმეურნეობებში ალბათ, ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს სპორტის სიკეთე... მედანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რეზო ბელქანიამ ორი წლის წინათ სოფლის განაპირას, მდინარე ჭანის პირას ახალგაზრდების მიერ მოწყობილი მოედანი გადახნა და შვრია დათესა. ვინ არ ჩაერია ამ საქმეში, მაგრამ თავმჯდომარე „პრინციპული" გამოდგა. არადა რეზო ბელქანია ყოფილი სპორტსმენია (?!)

ხობი. რესპუბლიკაში საჩვენებელი სპორტული ბაზები აქვს ხობს, მაგრამ ქალაქის ცენტრში არსებული დარბაზები და მოედნები, საცურაო აუზი თუ კორტები ყველას ვერ გაწვდება. მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმომ (უფროსი ვ. ყუფუნია), გარდა იმისა, რომ კარგი კომპლექსური მოედანი აიშენა, შეფობის წესით ასეთივე მოედანი გადასცა ქალაქის მოსახლეობას.

კეთილმოწყობილია ხამისკურის ქლანოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. დონდუა, მეთოდისტი რ. სამხარაძე), ნოჯიხევის 30-ე პროფტექნიკური სასწავლებლის (დირექტორი დ. ლატარია) ბაზები. სამუშაოები მიმდინარეობს შუა ხორგის, თორსის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით პირველი ხორგის მეთუთეობის საბჭოთა მეურნეობაზე (დირექტორი ი. აბშილავა, მეთოდისტი ა. კაჭარია). აქ ფეხბურთის მოედანი ღორებმა გადათხარეს, კალათბურთის და ფრენბურთის მოედანი კი არა აქვთ. პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ლ. ალანია) რამდენიმე წლის წინ დაიწყეს სპორტული კომპლექსის „თარჩიას" მშენებლობა, რომელიც დღემდე დაუმთავრებელია. ხობის ჩაის ფაბრიკას (დირექტორი ვ. ბუკია) მარტო ფრენბურთის მოედანი აქვს და ისიც მოუვლელი, შუა ქვალონში ფეხბურთის მოედანი სათამაშოდ უვარგისია, იგივე ითქმის ბიას, ქარიატას სპორტულ მოედნებზე. სპორტული ბაზები არა აქვთ საკონსერვო ქარხანას, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, № 10 მოძრავ-მექანიზებულ კოლონას და გზების № 1 სამშენებლო-სარემონტო უბანს.

დათვალიერების შედეგებმა გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ადგილებზე. ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა დასახელებული რაიონების ხელმძღვანელობა, რაც იმის საფუძველსაც გვაძლევს, რომ ხარვეზებიც მალე გამოსწორდება.

ნუგზარ ჟვანია,
„ლელოს" საკ. კორ.

ძნელი ბრძოლები გველის

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ჩოგბურთელებმა I საკავშირო ჭაბუკთა თამაშებში ოქროს მედლები მოიპოვეს. წლეულს ეს მასობრივი შეჯიბრება მეორედ ტარდება და საქართველოს ნაკრები უკვე მზად არის, გეზი აიღოს კუიბიშევისკენ, სადაც გაიმართება ფინალური ტურნირი.

— ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებში გამოსვლის თოთხმეტ კანდიდატში 30 ივნისისთვის ათი მონაწილე შეირჩევა — გვეუბნება ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი გივი ახალაძე, — ამიტომ, წინასწარ არ მინდა დავასახელო მათი ვინაობა. 4 ივლისს კუიბიშევის ცენტრალურ კორტებზე თამაშები საზეიმოდ გაიხსნება. აქ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან შეიკრიბებიან სპორტსმენები. სარბიელზე გამოვლენ 1970-71 წლებში დაბადებული მოზარდები.

საწვრთნელი შეკრება ჩვენმა გუნდმა ლესელიძეში ჩაატარა. ამას გარდა, ცალკეული სპორტსმენები მონაწილეობდნენ სხვადასხვა რანგის ტურნირებში — არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ჩემი აზრით, სპორტსმენების დასაოსტატებლად ასეთი ტურნირები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვეულებრივი შეკრებები. გუნდს თავისი ლიდერებიც ჰყავს. ესენი არიან: ბოკუჩავა, სიმონიანი, ტამიროვა და კიდევ რამდენიმე ყმაწვილი. ზოგიერთმა მათგანმა წარმატებით იასპარეზა საზღვარგარეთ და საკმაოდ დიდი გამოცდილებით დაბრუნდა.

⊙ ბოლო ხანს გუნდური ასპარეზობა ჩოგბურთში თითქოს პირადმა პირველობებმა დაჩრდილა. ხომ არ ვცდები?

— არა. სწორედ ბრძანეთ. მართლაც ბოლო ხანს სპორტსმენებიც და მწვრთნელებიც უფრო პირად მიღწევებს გამოეკიდნენ. ათეული წლების წინ, გუნდური ასპარეზობა ჩოგბურთელებისთვის გაცილებით უფრო პრესტიჟული იყო. ამ მხრივ ჭაბუკთა თამაშები გუნდის ერთიანობის განმტკიცებასაც შეუწყობს ხელს და მათს მომავალ დაოსტატებასაც.

⊙ გუნდს სამი მწვრთნელი მიუყვებით — მუხიელიანი, ლეიუხი და თქვენ. ასეთი სამეულის მიერ მომზადებულმა გუნდმა, ალბათ, სამი წლის წინანდელი შედეგიც უნდა გაიმეოროს.



— წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ძალზე ძლიერი გუნდები ჰყავთ მოსკოვს, ლენინგრადსა და უკრაინასაც. სამი წლის წინანდელი გამარჯვება ლეილა მესხის და ვლადიმერ გაბრიჩიძის დამსახურებაც იყო. წელს გამარჯვება ადვილი არ იქნება, მაგრამ კოლექტივი მზად არის ნებისმიერ ძლიერ გუნდს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს.

— მშვიდობით მგზავრობასა და გამარჯვებით დაბრუნებას გისურვებთ!

— გმადლობთ.

თამაზ ხულაძე.

მთამსვლელთა სახელობის პრიზები... ტურისტებს

ქუთაისი მუდამ ამაყობდა და იამაყებს აქ აღზრდილი და დავაჟკაცებული ცნობილი მთამსვლელებით. ერთმა ჟურნალისტმა მას ალპინისტთა ქალაქიც კი უწოდა. დიახ, აქ, კავკასიონის მისადგომებთან მდებარე ქალაქში უყვართ მამაცთა სპორტის ეს სახეობა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ქუთაისში ყოველი წლის გაზაფხულზე გარდაცვლილ მთამსვლელთა სახელობის პრიზების გათამაშება იმართება.

წელსაც ასე იყო. საქალაქო სპორტკომიტეტის, პროფკავშირების სპორტული საზოგადოებისა და ტურისტულ კლუბ „ოქროს ჩარდახის" ინიციატივით ჩატარდა ტურისტთა საქალაქო შეკრება-შეჯიბრება ქვეითი ტურიზმის ტექნიკაში, სადაც ცნობილი ალპინისტების, მთაში დაღუპული სპორტის ოსტატების მურად ჰიჭინაძის, ვალერი გაბელაშვილისა და ალიოშა ნემსიწვერიძის სახელობის პრიზები გათამაშდა.

მდინარე ოღასკურას ლამაზ ხეობაში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, უმაღლესი, ტექნიკური და საშუალო-ტექნიკური სასწავლებლების საუკეთესო ტურისტული სექციების გუნდები.

ქალიშვილები და ჭაბუკები, ახალბედა და უკვე გამობრძმედილი ტურისტები ერთმანეთს ექვს სახეობაში ეჯიბრებოდნენ. საბოლოო შედეგით პირველი ადგილი და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონისა და პრიზიორის მურად ჰიჭინაძის სახელობის პრიზი გ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას" ტურისტებმა დაისაკუთრეს, ალიოშა ნემსიწვერიძისა და ვალერი გაბელაშვილის სახელობის პრიზები კი კოოპერაციული ტექნიკუმის ტურისტულ კლუბ „უშბას", ნ. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების გუნდებს გადაეცათ.

ახლა ქუთაისელი ტურისტები საზაფხულო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საქალაქო შეკრება-შეჯიბრებისათვის ემზადებიან.

თამაზ კოლხიდელი,
(„ლელოს" საკ. კორ.).

ქუთაისი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

გთავაზობთ სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის სტატისტიკურ მონაცემებს:

„დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" 2:0 (0:0). გოლები: კოლივანოვი, ბოროდიუკი.
გააფრთხილეს „დინამოს" ფეხბურთელი სკლიაროვი.
დუბლიორები — 4:1.

„არარატი" — „კაირატი" 1:0 (1:0). გოლი: პოღოსიანი.
დუბლიორები — 5:1.

„ზენიტი" — „ჩერნომორეცი" 2:0 (1:0). ორივე ბურთი გაიტანა სალენკომ.
დუბლიორები — 2:2.

⊙ **განვლილ** ტურში ექვსის ნაცვლად ჩატარდა მხოლოდ 4 მატჩი, სადაც მეტოქეებმა სულ 8 ბურთი გაიტანეს (6 — მასპინძლებმა).

⊙ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის არიან გ. გურული („დინამო", თბილისი), ო. პროტასოვი („დინამო", კიევი) და ა. ბოროდიუკი („დინამო", მოსკოვი) 8-8 ბურთი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ივნისისთვის (ძირითადი შემადგენლობანი)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „დინამო" (კიევი)	11	7	3	1	15-4	17
2. „ზენიტი" (ლენინგრადი)	12	7	2	3	23-17	16
3. „ჟალგირისი" (ვილნიუსი)	11	6	3	2	16-11	15
4. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	11	5	5	1	12-5	15
5. „სპარტაკი" (მოსკოვი)	10	5	4	1	13-7	14
6. „ჩერნომორეცი" (ოდესა)	12	6	0	6	11-13	12
7. „დინამო" (მოსკოვი)	12	5	2	5	14-15	12
8. „არარატი" (ერევანი)	12	4	4	4	8-8	12
9. „ტორპედო" (მოსკოვი)	12	4	4	4	11-13	12
10. „ლოკომოტივი" (მოსკოვი)	11	4	3	4	12-11	11
11. „მეტალისტი" (ხარკოვი)	12	3	5	4	11-15	11
12. „დინამო" (მინსკი)	11	2	5	4	9-10	9
13. „დინამო" (თბილისი)	12	4	0	8	16-21	8
14. „შახტიორი" (დონეცკი)	11	2	4	5	8-12	8
15. „ნეფთჩი" (ბაქო)	11	3	1	7	9-14	7
16. „კაირატი" (ალმა-ათა)	13	2	1	10	8-20	5

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობა

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	12	8	2	2	21-9	18
„დინამო" კ.	11	7	2	2	20-11	16
„ჩერნომორეცი"	12	6	4	2	13-7	16
„სპარტაკი"	10	7	1	2	22-9	15
„დინამო" თბ.	12	6	3	3	15-13	15
„ჟალგირისი"	11	6	2	3	26-9	14
„ლოკომოტივი"	10	6	2	2	19-5	14
„ტორპედო"	12	6	1	5	17-18	13
„ზენიტი"	12	5	2	5	13-16	12
„მეტალისტი"	12	3	3	6	13-15	9
„არარატი"	11	3	3	5	16-21	9
„კაირატი"	13	3	2	8	11-27	8
„დნეპრი"	11	3	1	7	10-19	7
„შახტიორი"	11	2	2	7	12-24	6
„დინამო" მნ.	11	2	0	9	8-22	4
„ნეფთჩი"	9	1	2	6	1-12	4

* * *

⊙ **I ლიგის** მე-17 ტურის მატჩში გაფრთხილება მიიღო ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელმა ა. გოგიტიძემ (რიგის „დაუგავასთან"). ამავე ტურში ლანჩხუთის „გურია" ლვოვში გამოდიოდა. ასკ „კარპატისთან" შეხვედრაში გააფრთხილეს „გურიის" ფეხბურთელები ლ. ბარათაშვილი და გ. გოგრიჭიანი. ამის შემდეგ გ. გოგრიჭიანი მინდვრიდან გააძევეს.

ჩემპიონატის ლაურეატები

⊙ **ჰოლანდიელი** ფეხბურთელი მარკო ვან ბასტენი დაასახელეს ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად. რეფერენდუმში მონაწილეობდნენ ჩემპიონატზე აკრედიტებული ჟურნალისტები, მ. ვან ბასტენმა დიდი უპირატესობით მოუგო პრეტენდენტებს. მან 1250 ხმა მიიღო, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა მისმა თანაგუნდელმა რუუდ გულიტმა — 578 ხმა. მესამე ადგილიც აგრეთვე ჰოლანდიელთა ნაკრების წარმომადგენელს ფრანკ რაიკარდს მიეკუთვნა — 498 ხმა.

მარკო ვან ბასტენს გადაეცა საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული „ოპელ-3000" მარკის ბოლო გამოშვების ავტომანქანა.

⊙ **იმავე** მ. ვან ბასტენმა მოიპოვა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება, ფინალური ეტაპის მატჩებში მან 5 ბურთი გაიტანა.

⊙ **სულ** ჩემპიონატის 15 თამაშში 34 ბურთი გაიტანეს, რაც საშუალოდ ყოველ მატჩში 2,27 გოლს უდრის.

2-2 ბურთი — მოდის საბჭოთა ფეხბურთელ ო. პროტასოვსა და დასავლეთგერმანელ რ. ფიოლერზე.

თითო ბურთი გაიტანეს: რაცმა, ალეინიკოვმა, მიხაილიჩენკომ, პასულკომ, ლიტოვჩენკომ (სსრ კავშირი), ბრემემ, კლინსმანმა, ტონმა, მათეუსმა (გფრ), მანჩინიმ, ვიალიმ, ალტობელიმ, დი აგოსტინიმ (იტალია), გულიტმა, რ. კუმანმა, კიფტმა (ჰოლანდია), ადამსმა, რობსონმა (ინგლისი), ველანმა, ჰოუგთონმა (ირლანდია), მიჩელმა, ბუტრაგენიომ, გორდილიომ (ესპანეთი), ლაუდრუპმა, პოულსენმა (დანია).

⊙ **საბჭოთა** ფეხბურთელმა სერგეი ალეინიკოვმა ინგლისის ნაკრებთან მატჩში პირველივე წუთზე გაიტანა ბურთი. მას გადაეცა იაპონური ფირმა „სეიკოს" მიერ დაწესებული ჯილდო, — საათი ყველაზე უფრო „სწრაფი" გოლისთვის.

სიმბოლური ნაკრები გუნდები

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჟურნალ-გაზეთებმა, სპეციალისტებმა, მწვრთნელებმა, მიმომხილველებმა შეადგინეს კონტინენტის ნაკრები გუნდები. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

„ბილდი" (გფრ): დასაევი (სსრ კავშირი), რ. კუმანი (ჰოლანდია), კუზნეცოვი (სსრ კავშირი), რაიკარდი (ჰოლანდია), მიხაილიჩენკო (სსრ კავშირი), გულიტი (ჰოლანდია), ჰოუგთონი (ირლანდია), მათეუსი (გფრ), პროტასოვი (სსრ კავშირი), ვან ბასტენი (ჰოლანდია), ვიალი (იტალია).

ბ. ნეტცერი (გფრ-ის ნაკრების ყოფილი მოთამაშე): დასაევი, რ. კუმანი, ვან ტიგელენი (ჰოლანდია), ფერრი (იტალია), მალდინი (იტალია), გულიტი, დონადონი (იტალია), მათეუსი, მიჩელი (ესპანეთი), ვიალი, ვან ბასტენი.

ო. ბლოხინი (სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი მოთამაშე): დასაევი, ბესონოვი (სსრ კავშირი), ბარეზი (იტალია), მალდინი, გულიტი, რაცი (სსრ კავშირი), მიჩელი, მათეუსი, დონადონი, პროტასოვი, ვან ბასტენი.

ლ. სუარესი (ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი): ბონერი (ირლანდია), რ. კუმანი, ბერგომი (იტალია), სანჩისი (ესპანეთი), მალდინი, მიხაილიჩენკო, მათეუსი, დონადონი, მიჩელი, ვიალი, ვან ბასტენი.

ა. ვალდანო (არგენტინის ნაკრების ყოფილი მოთამაშე): ძენგა (იტალია), რ. კუმანი, ვან არლე (ჰოლანდია), ბრემე (გფრ), მალდინი, გულიტი, ჰოუგთონი, მიხაილიჩენკო, რაიკარდი, ვან ბასტენი, ვიალი.

ა. მაცოლა (იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი): ძენგა, ბერგომი, ხიდიატულინი (სსრ კავშირი), სანჩისი, მალდინი, დონადონი, მიხაილიჩენკო, ჰოუგთონი, ანჩელოტი (იტალია), ვან ბასტენი, ვიალი.

კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატის მქო

ცნობილმა არგენტინელმა მწვრთნელმა ცეზარ ლუის მენოტიმ ასეთი შეფასება მისცა ევროპის VIII საფეხბურთო ჩემპიონატს: „არავის აეჭვებს, რომ ევროპის ჩემპიონატი ყველაზე უფრო საინტერესო და შინაარსიანი იყო ამ შეჯიბრებათა ისტორიაში. მონაწილეებმა მაყურებლებს აჩვენეს თანამედროვე ყაიდის საფუძვლიანი, პროგრესული ფეხბურთი, ყველა თამაშს დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს გულშემატკივრებიცა და სპეციალისტებიც".

არ შეიძლება არ დაეთანხმო ლ. მენოტის ამ მაღალ შეფასებას, განვლილი შეჯიბრება მართლაც მეტად საყურადღებო იყო.

საერთაშორისო სპორტულ პრესაში თავიანთ აზრს გამოთქვამენ მიმომხილველები, ფეხბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები, მათი შეფასება, ძირითადად, ერთსულოვანია, ევროპული ფეხბურთი აშკარა აღმავლობის გზაზე დგას.

მოვიყვანთ უცხოური გაზეთების შეფასებებს განვლილი თამაშების თაობაზე.

ინგლისი. „სანდი ტელეგრაფი": „გამარჯვება მოიპოვა საუკეთესო გუნდმა, ჰოლანდიელთაგან ყველაზე უფრო გამოირჩეოდა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი მ. ვან ბასტენი".

„ობსერვერი": „ბევრს მიაჩნდა, რომ ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად რუდ გულიტს დაასახელებდნენ. იგი, მართლაც, უდიდესი ფეხბურთელია, მაგრამ სპეციალისტებმა უპირატესობა მაინც მარკო ვან ბასტენს მიაკუთვნეს".

„სანდი ტაიმსი": „ჰოლანდიის ნაკრები საუკეთესო იყო, დანარჩენთაგან კი ყველაზე კარგი შთაბეჭდილება საბჭოთა გუნდმა დატოვა".

ესპანეთი. „დარიო-16". „ჰოლანდიის ნაკრებმა გამარჯვება მოიპოვა ცალკეულ მოთამაშეთა მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით. გულიტსა და ვან ბასტენს ბადალი არ ჰყავდათ".

„პაისი": „როგორც ეს თავიდანვე აღნიშნა ჰოლანდიელთა მწვრთნელმა რინუს მიჰელსმა, მისი ფეხბურთელების ინდივიდუალურმა ღირსებებმა გადაწყვიტა უაღრესად დაძაბული ფინალური მატჩის ბედი.

საფრანგეთი. „ჟურნალ დი დიმანში": „ჰოლანდიელებმა ფინალში ბრწყინვალედ ითამაშეს, მათ დიდად შეუწყეს ხელი ათეულ ათასობით გულშემატკივარმა".

განვლილ საკონტინენტო ჩემპიონატს მაღალ შეფასებას აძლევენ ჩვენი სპეციალისტებიც. ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ ეს იყო ნამდვილი თანამედროვე ფეხბურთის საუკეთესო თვისებათა დემონსტრაცია, საბჭოთა ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია. საქმე მარტო ის როდია, რომ ჩვენს გუნდს ბოლო 16 წელია მონაწილეობა არ მიუღია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებაში და ახლა ეს უფლება მოიპოვა. ეს თავისთავად. უმთავრესი ისაა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე, პირთამდე სავსე ტრიბუნების თვალწინ, ჩვენმა გუნდმა ნამდვილი შემოქმედებითი, კოლექტიური, შემტევი თამაში აჩვენა. მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელებიც და სულაც არაა გასაკვირი, რომ უცხოეთის საუკეთესო პროფესიული კლუბები ბევრ მათგანს ფრიად მომგებიან კონტრაქტებს სთავაზობენ.

გათამაშებაში მოპოვებული გამარჯვებები ჰოლანდიის, ინგლისის, იტალიის გუნდებთან ერთობ შთამბეჭდავია და რომ სწორედ გადამწყვეტ, ფინალურ მატჩში არ გამოკლებოდნენ გუნდს ო. კუზნეცოვი და ვ. ბესონოვი, რის გამოც მწვრთნელებს იძულებითი გადაადგილებები მოუხდათ დაცვაში, ჩვენი ნაკრები ჰოლანდიელებთან უკეთ ითამაშებდა. სწორედ დაცვის ცენტრის ფეხბურთელებმა ვერ გაართვეს თავი რ. გულიტისა და მ. ვან ბასტენის ძალზე ძლიერ თამაშს შეტევის ბოლო ფაზაში. ეს მეტად ძლიერი, ორიგინალური სტილის ფეხბურთელები დღესდღეობით პელეს, იოჰან კრუიფის, დიეგო მარადონას, ფრანც ბეკენბაუერის ტრადიციათა ღირსეული გამგრძელებლები არიან. მათს გარდა ჩემპიონატმა სხვა მრავალი ბრწყინვალე ფეხბურთელიც გამოავლინა.

ევროპის ჩემპიონატმა და საბჭოთა გუნდის კარგმა თამაშმა ნამდვილი სიამოვნება მოგვგვარა. ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს, მცირე ხანს შემდეგ ისინი კვლავ ერთად შეიკრიბებიან და შეუდგებიან მზადებას მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის.

I ლიგა

27 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-18 ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურიამ" რიგაში ფრედ ითამაშა „დაუგავასთან"— 2:2. ასევე ფრედ დაამთავრეს ბათუმის დინამოელებმა მატჩი ლვოვში ადგილობრივ ასკ „კარპატისთან" — 0:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როტორი" (ვოლგოგრადი) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 5:2, ასკ (დონის როსტოვი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 2:1, „ზვეზდა" (პერმი)— „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:1, „გეოლოგი" (ტიუმენი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:1, ცსკა — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 3:2, „კუზბასი" (კემეროვო) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 1:2, „პამირი" (დუშანბე) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 3:1.

მომდევნო, მე-19 ტურის თამაშები გაიმართება 4 ივლისს. ლანჩხუთის „გურია" შინ მიიღებს დონის როსტოვის არმიელებს, ხოლო ბათუმის დინამოელები თავიანთ მინდორზე შეხვდებიან ვოლგოგრადის „როტორს".

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პამირი"	17	11	5	1	33-14	27
„დინამო" სტ.	18	10	6	2	29-13	26
ცსკა	17	9	5	3	25-13	23
„როტორი"	17	9	2	6	28-18	20
„გეოლოგი"	17	9	2	6	20-23	20
ასკ რ.	17	8	4	5	25-22	20
ასკ „კარპატი"	17	8	3	6	28-15	19
„კოტაიკი"	18	8	3	7	25-28	19
„როსტსელ."	17	7	4	6	26-24	18
„ტავრია"	17	5	8	4	17-13	18
„ფახთაქორი"	17	5	7	5	20-19	17
„გურია"	17	7	2	8	21-24	16
„შინიკი"	17	6	4	7	16-20	16
„დაუგავა"	17	5	6	6	21-19	16
„სპარტაკი"	18	6	3	9	28-32	15
„ყუბანი"	18	6	3	9	18-26	15
„კუზბასი"	17	5	5	7	11-19	15
„კოლოსი"	17	5	4	8	12-17	14
„დინამო" ბ.	17	5	2	10	15-23	12
„ზარია"	17	4	4	9	20-27	12
„მეტალურგი"	17	2	6	9	8-22	10
„ზვეზდა"	17	2	6	9	14-29	10

II ლიგა

გათამაშების კალენდარი

გთავაზობთ II ლიგის III და IX ზონების ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ივლისის კალენდარს ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით.

III ზონა

2 ივლისი. შაბათი. XVI ტური. „ტორპედო" (ტაგანროგი) — „მერცხალი" (მახარაძე), „ლუჩი" (აზოვი) — „კოლხეთი" (ფოთი), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (სოხუმი).

6 ივლისი. ოთხშაბათი. XVII ტური. „კოლხეთი" (ფოთი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი), „მერცხალი" (მახარაძე) — „სპარტაკი" (ნალჩიკი). **7 ივლისი. ხუთშაბათი.** „ურალანი" (ელისტა) — „დინამო" (სოხუმი), „ვოლგარი" (ასტრახანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია).

9 ივლისი. შაბათი. XVIII ტური. „კოლხეთი" (ფოთი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი), „მერცხალი" (მახარაძე) — „მაშუკი" (პიატიგორსკი). **10 ივლისი. კვირა.** „ურალანი" (ელისტა) — „ლოკომოტივი" (სამტრედია), „ვოლგარი" (ასტრახანი) — „დინამო" (სოხუმი).

15 ივლისი. პარასკევი. XIX ტური. „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „კოლხეთი" (ფოთი), „სპარტაკი" (ანაპა) — „მერცხალი" (მახარაძე), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „სპარტაკი" (ტამბოვი).

18 ივლისი. ორშაბათი. XX ტური. „ცემენტი" (ნოვოროსიისკი)— „მერცხალი" (მახარაძე), „სპარტაკი" (ანაპა) — „კოლხეთი" (ფოთი), „დინამო" (სოხუმი) — „სპარტაკი" (ტამბოვი). **23 ივლისი. შაბათი.** „დინამო" (სოხუმი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი). **26 ივლისი. სამშაბათი.** „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მეტალურგი" (ლიპეცკი).

II წრე. 30 ივლისი. შაბათი. XXI ტური. „კოლხეთი" (ფოთი)— „სპარტაკი" (ოქტემბერიანი), „მერცხალი" (მახარაძე) — „ისკრა" (ერევანი), „ლორი" (კიროვაკანი) — „დინამო" (სოხუმი), „ოლიმპია" (ლენინაკანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია).

IX ზონა

3 ივლისი. კვირა. XI ტური. „ქიაფაზი" (კიროვაბადი) — „მეტალურგი" (რუსთავი), „გოიაზანი" (ყაზახი) — „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი), „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) — „დილა" (გორი), „სოკოლი" (სარატოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი), „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „ხაზარი" (სუმგაითი).

7 ივლისი. ხუთშაბათი. XII ტური. „დინამო" (მახაჩყალა) — „მეტალურგი" (რუსთავი), „თერგი" (გროზნო) — „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი), „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი), „ხაზარი" (სუმგაითი) — „ტორპედო" (ქუთაისი), „ბაკინეცი" (ბაქო) — „დილა" (გორი).

10 ივლისი. კვირა. XIII ტური. „დინამო" (მახაჩყალა) — „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი), „თერგი" (გროზნო) — „მეტალურგი" (რუსთავი), „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „სოკოლი" (სარატოვი), „ხაზარი" (სუმგაითი) — „დილა" (გორი), „ბაკინეცი" (ბაქო) —„ტორპედო" (ქუთაისი).

14 ივლისი. ხუთშაბათი. XIV ტური. „მეტალურგი" (რუსთავი) — „ტორპედო" (ვოლჟსკი), „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი) — „ატომმაში" (ვოლგოდონსკი), „ტორპედო" (ქუთაისი) — „შევარდენი"-სპი (თბილისი), „დილა" (გორი) — „ლოკომოტივი" (მინ. წყლები).

17 ივლისი. კვირა. XV ტური. „მეტალურგი" (რუსთავი) — „ატომმაში" (ვოლგოდონსკი), „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი) — „ტორპედო" (ვოლჟსკი), „დილა" (გორი) — „შევარდენი"-სპი (თბილისი), „ტორპედო" (ქუთაისი) — „ლოკომოტივი" (მინ. წყლები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასპაროვმა დაიბრუნა წამყვანი პოზიცია

ზედიზედ რამდენიმე ყაიმის შემდეგ მორიგი გამარჯვებები მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა და 11 ტურის მერე 8,5 ქულით კვლავ სათავეში მოექცა „მსოფლიო თასის“ გათამაშების მეორე ეტაპის სატურნირო ცხრილს. IX ტურში მან შავი ფიგურებით ლიუბომირ ლიუბოევიჩს სძლია (რომელიც, ტიმანის მსგავსად, მეტად წარუმატებლად თამაშობს ამ შეჯიბრებაში. მას ერთი პარტიაც კი არ მოუგია); მეათეში დაამარცხა ულფ ანდერსონი, მეთერთმეტეში კი — ალექსანდრე ბელიავსკი.

X ტურში პირველი მარცხი იწვნია შეჯიბრების ყოფილმა ერთპიროვნულმა ლიდერმა იან ელვესტმა. მას მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა მოუგო, წინა დღეს კი ტალინელმა მოჭადრაკემ ალექსანდრე ბელიავსკის სძლია. XI ტურში ელვესტი ნაიჯელ შორტს დაუზავდა. ახლა მას 7,5 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზეა. 6 ქულით და ორი გადადებული პარტიით (IX ტურში რობერტ ჰიუბნერთან, მეთერთმეტეში — იან ტიმანთან) IV ადგილზეა ანატოლი კარპოვი. მესამეზე კი ბორის სპასკიმ გადაინაცვლა (6,5 ქულა). 6-6 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ანდრეი სოკოლოვსა და რობერტ ჰიუბნერს, 6 — ზოლტან რიბლის, 5,5 — ნაიჯელ შორტს, 4,5-4,5 — ხესუს ნოგეირასს, ჯონათან სპილმენსა და არტურ იუსუპოვს, 4 (1) — ულფ ანდერსონს, 4-4 — ალექსანდრე ბელიავსკის, ლიუბომირ ლიუბოევიჩსა და იოჰან ჰიარტარსონს, 3,5 (1) — იან ტიმანს.

გთავაზობთ IX-XI ტურების სხვა შეხვედრათა შედეგებს. **IX ტური:** სპასკი-იუსუპოვი — 1:0, ტიმანი-რიბლი — 0,5:0,5, სპილმენი-ნოგეირასი — 0,5:0,5, ჰიარტარსონი-სოკოლოვი — 0,5:0,5, ანდერსონი-შორტი — 0,5:0,5; **X ტური:** შორტი-ბელიავსკი — 0,5:0,5, სოკოლოვი-ლიუბოევიჩი — 1:0, იუსუპოვი-ჰიარტარსონი — 0,5:0,5, ნოგეირასი-სპასკი — 0,5:0,5, რიბლი-სპილმენი — 1:0, ჰიუბნერი-ტიმანი — 1:0; **XI ტური:** სპასკი-რიბლი — 0,5:0,5, სპილმენი-ჰიუბნერი —0,5:0,5, ჰიარტარსონი-ნოგეირასი — 0:1 ლიუბოევიჩი-იუსუპოვი — 0,5:0,5. გადაიდო ანდერსონ-სოკოლოვის შეხვედრა.

VIII ტურის გადადებულ პარტიაში შორტმა სძლია ლიუბოევიჩს.



კუნთების ჰარმონია

ადამიანის სხეულის სილამაზის დემონსტრაციად გადაიქცა ათლეტიზმის საკავშირო ტურნირი „ოქროს საწმისი“, რომელსაც ამ დღეებში საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლემ უმასპინძლა. სცენაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდა რიგის, ბაქოს, ლენინგრადის, კაუნასის, თბილისისა და რუსთავის 11 ათლეტი. სავალდებულო და თავისუფალი პროგრამების ორჭიდში ყველა წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს სტუმრებმა. სამწუხაროდ, ჩვენმა ათლეტებმა ამჯერად სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს გამარჯვებულებს.

სურათზე: გამარჯვებულთა დაჯილდოება.

„მსოფლიო თასის“ პოპულარობა

ჭადრაკის სამყაროსთვის ახალმა შეჯიბრებამ, „მსოფლიო თასის“ გათამაშებამ, რომლის ერთი ტურნირი ბრიუსელში უკვე დამთავრდა, ხოლო მეორე — ბელფორში — ახლა მიმდინარეობს, უმალ მოიპოვა დიდი პოპულარობა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ჭადრაკში „ახალი დრო“ დადგა. აი, რას წერს საერთაშორისო ოსტატი შტეფან კინდერმანი მიუნხენის „ზიუდდოიჩე ცაიტუნგში“: ჭადრაკის გულშემატკივრებს დღემდე არასოდეს არ მისცემიათ საშუალება შეჯიბრებების ნამდვილი ჯანამონაწილეები გამხდარიყვნენ. დღემდე არასოდეს არ ყოფილა ისეთი საჭადრაკო ზეიმის ატმოსფერო, როგორც ახლაა“.

დიახ, შეჯიბრებები ჯერ ბრიუსელსა და შემდეგ ბელფორში ნამდვილ საჭადრაკო ფესტივალებად იქცა. მონაწილეებთან შეხვედრის გარდა, გულშემატკივრებს საშუალება მიეცათ ესაუბრათ თანამედროვე ჭადრაკის პატრიარქთან, 77 წლის მიხეილ ბოტვინიკთან, რომელიც ბრიუსელში იყო მიწვეული, თვალყური ედევნებინათ „ცოცხალი ჭადრაკისთვის“, როცა ბელგიის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე ერთმანეთს ანატოლი კარპოვი და იან ტიმანი შეხვდნენ.

შეჯიბრებას „მსოფლიო თასზე“, რომელიც 6 ტურნირისგან შედგება, როგორც ცნობილია, დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაცია ატარებს (პრეზიდენტი — მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი). მასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას. ამ ორ ორგანიზაციას შორის კი ვითარება სულ უფრო იძაბება. აი, რას წერს საერთაშორისო ოსტატი სანტუში ლისაბონის „დიარიუ დე ნოტისიაში“: „მსოფლიო თასის“ შეჯიბრებებმა მეტისმეტად გაამწვავეს ურთიერთობა გარი კასპაროვსა და ფლორენსიო კამპომანესს შორის. კამპომანესმა „საპასუხო სვლის“ სახით წამოიწყო ფრიად სახიფათო აქცია საერთაშორისო საჭადრაკო მოძრაობისა და მისი მომავლისთვის. მან გადაწყვიტა წინა პლანზე ეგრეთ წოდებული „სწრაფი ჭადრაკის“ წამოწევა, რომლის დროსაც მოთამაშეს მთელი პარტიისთვის სულ რაღაც ნახევარი საათი ეძლევა და ამით კლასიკური ჭადრაკის თანდათანობით შეცვლა. ასეთ ვითარებაში ჭადრაკი თავის ყველაზე ძვირფას — ესთეტიკურ ელემენტს დაკარგავს. კამპომანესის გეგმები დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციის წევრების მედგარ წინააღმდეგობას იწვევს. მაგრამ კამპომანესი თავის „ალმებქვეშ“ ყველა „ნაწყენის“ თავმოყრას აპირებს, რათა სპონსორი ფირმები ახალი საჭადრაკო შოუთი დააინტერესოს. ეს ყველაფერი ჭადრაკის დეგრადაციას გამოიწვევს...“

ამას წინათ კასპაროვმა ჟურნალისტებთან საუბარში დაუშვებლად ჩათვალა ის გარემოება, რომ ფიდე-ს ხელმძღვანელობა „სწრაფი ჭადრაკის“ შეჯიბრების მონაწილეებისთვის დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის წოდების მინიჭებას აპირებს. ეს საკითხი საბოლოოდ ფიდე-ს კონგრესმა უნდა გადაწყვიტოს, რომელიც ნოემბერში სალონიკში (საბერძნეთი) გაიმართება.

კონორსი აღარ ითამაშებს

გამოჩენილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯიმი კონორსმა, რომელიც ახლა 36 წლისაა, განაცხადა, რომ ამ სეზონის შემდეგ აღარ აპირებს ოფიციალურ შეჯიბრებებში გამოსვლას, თუმცა უძლიერესი მოთამაშეების „რანგ-ლისტში“ ჯერ კიდევ უკავია ადგილი პირველ ხუთეულში.

— დიახ, ეს ჩემი ბოლო სეზონია. იმდენჯერ დავშავდი, რომ ტრავმების მორჩენა შეუძლებელი გახდა. ისე რომ, დროა ადგილი ახალგაზრდებს დავუთმო.

კონორსი დღემდე რჩება „გრან-პრის“ ტურნირებში პირველი პრიზების მოპოვების რეკორდსმენად. როგორც ჩოგბურთის სტატისტიკოსები იუწყებიან, მან გაიმარჯვა 105(!) ასეთ ტურნირში.

თავგადასავლის მაძიებელი

39 წლის ფრანგი მოგზაური რემი ბრიკა კანარის კუნძულებიდან ფეხით ჩავიდა ტრინიდადის კუნძულამდე. მან წყლის სპეციალური თხილამურებით გადასერა ატლანტის ოკეანე. ბრიკა 1 აპრილს ქალაქ სანტა-კრუზ-დე-ტენერიფიდან გაუდგა გზას, ისე, რომ თან არც საკვები წაუღია, არც რადიოგადამცემები, არც წყალი. ამიტომაც ბევრმა ფრანგი „თავგადასავლის მაძიებლის“ განზრახვა — თხილამურებით გაევლო ექვსი ათასი კილომეტრი, აბსოლუტური უმეცრების ნაყოფად მიიჩნია. მაგრამ რემი ბრიკამ სკეპტიკოსთა ასეთი პროგნოზი გააქარწყლა.

როგორ გაუძლო მოგზაურმა ასეთ სარისკო და მომქანცველ რეიდს მარტოდმარტომ? საქმე ის იყო, რომ მას თხილამურებზე გამობმული ჰქონდა პატარა ნავი, რომელშიც მოთავსებული იყო რეზერვუარი გზად დაჭერილი თევზისა და წვიმის წყლის შესაგროვებლად, აგრეთვე სპეციალური რადიოშუქურისათვის, რომლის საშუალებითაც კონტინენტიდან თვალს ადევნებდნენ მოგზაურს ოკეანეზე გადაადგილებისას. იგივე ნავი ტახტის მაგივრობასაც უწევდა, რომელზეც ბრიკა ღამით ისვენებდა.

ბრიკამ ამ მოგზაურობაში ორ ქარიშხალს გაუძლო, მაგრამ სიძნელეებმა გაბედული მოგზაური ვერ შეაჩერა. იგი დღეში საშუალოდ 90 კმ-ს გადიოდა.

ფავორიტებს უჭირთ

ლონდონი. უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირის ნახევარფინალი ის სავალდებულო ზღვარია, რომლის შემდეგ სენსაციებზე და მოულოდნელობებზე საუბარი სპეციალისტებს უმართებულოდ მიაჩნიათ. ფავორიტის ნებისმიერი წარუმატებლობა მერვედფინალამდე შეიძლება განვიხილოთ როგორც სიურპრიზი, თექვსმეტ უძლიერესთა ტურნირში დამარცხება კი ჩვეულებრივი ამბავია, ვინაიდან გათამაშების ამ ეტაპზე, როგორც წესი, მხოლოდ უძლიერესები მონაწილეობენ.

და მაინც, მიმომხილველები მინსკელი ნატალია ზვერევას მარცხს ამერიკელ როზალინ ფაირბანკთან (2:6, 4:6) ორი მიზეზის გამო მოულოდნელობათა რიცხვს აკუთვნებენ. მართლაც, საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ, საბჭოთა ჩოგბურთელს უკეთეს შედეგს უგეგმავდნენ და ეს წინასწარმეტყველება გარკვეულწილად ლოგიკური ჩანდა. მეორეც, ზვერევამ რამდენადმე ღირსეული მეტოქეობა ამერიკელს ვერ გაუწია, თამაშობდა უღიმღამოდ და შედარებით ადვილადაც დამარცხდა.

ალბათ, მოულოდნელი იყო ისიც, რომ არგენტინელი გაბრიელა საბატინი ჩემპიონატს ამ ეტაპზე გამოეთიშა (მას მეორე ამერიკელმა ზინა ჰარისონმა აჯობა 6:1, 3:6, 6:2). საბატინის თავისი მონაცემებითა და რეალური შესაძლებლობებით ნახევარფინალში მაინც უნდა ეთამაშა.

როგორც ვიუწყებოდით, თექვსმეტ უძლიერესს შორის მოხვდა სამი საბჭოთა ჩოგბურთელი (ნატალია ზვერევა, ანდრეი ოლხოვსკი და ლარისა სავჩენკო). ეს თავისთავად დიდ წარმატებას ნიშნავს, ჩვენმა ჩოგბურთელებმა წინ რომც ვერ წაიწიონ. თუმცა ამის შესაძლებლობა მხოლოდ ლარისა სავჩენკოს დარჩა, რომელიც პირველ პარტიას უგებს (4:2) სახელოვან ამერიკელს მარტინა ნავრატილოვას (შეხვედრა წვიმის გამო მეორე დღისათვის გადაიდო).

ოლხოვსკის კი... ცხადია, მას მეტის გაკეთება არც შეეძლო, ვინაიდან მეტოქედ მერვედფინალში უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი პატ კეში (ავსტრალია) ჰყავდა. ჩემპიონმა გაიმარჯვა სამ პარტიაში — 6:3, 6:3, 6:3.

ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) უიმბლდონის ჩემპიონი არც ერთხელ არ ყოფილა. აქ გამარჯვება მისი სანუკვარი ოცნებაა, მაგრამ ბალახზე თამაში შესამჩნევად უჭირს. აი ამჯერადაც, ლენდლს 5 საათი დასჭირდა იმისთვის, რომ ახალგაზრდა ავსტრალიელი მარკ ფუდფორდი დაემარცხებინა — 7:5, 6:7, 6:7, 7:5, 10:8.

ოლიმპიური მოზაიკა

⊙ **სეულის** ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს 131 ეროვნული ფედერაციის ექვსასზე მეტი მოკრივე. ასეთი განცხადება გააკეთა პრეს-კონფერენციაზე აიბა-ს (სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაცია) გენერალურმა მდივანმა კარლ-ჰაინც ვერმა (გდრ). შეგახსენებთ, რომ მიუნხენის ოლიმპიადის (1972 წელი) მოკრივეთა ტურნირში 357 მოკრივე ასპარეზობდა (81 ქვეყანა), მონრეალში (1976 წელი) — 348, ლოს-ანჯელესში (1984 წელი) — 359.

⊙ **ამერიკის** შეერთებული შტატების სატელევიზიო კომპანიების თითქმის ერთწლიანი დავა კრივის საერთაშორისო ფედერაციასთან ბოლოს და ბოლოს უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყდა. ტელეკომპანიები, იმისათვის, რომ მოკრივეთა ტურნირი უფრო სრულად და კომპაქტურად ეჩვენებინათ, მოითხოვდნენ დარბაზში მხოლოდ ერთი რინგის დადგმას, ფედერაცია კი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ვინაიდან ამ შემთხვევაში ტურნირი ერთიორად გაიჭიმებოდა.

⊙ **სპეციალისტების** აზრით კენია 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში მძლეოსანთა უძლიერეს გუნდს გამოიყვანს. ამ გუნდის ლიდერებად, პირველ რიგში, მსოფლიოს სამი ჩემპიონი ბილი კონჩელახი, პოლ კიპკოეჩი და დუგლას ვაკიიხური უნდა მივიჩნიოთ. ამ ტრიოს, რომელმაც რომის მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედლები 800, 10000-მეტრიან დისტანციებზე და მარათონულ რბენაში მოიპოვა, დაემატება მსოფლიო ჩემპიონი კროსში ჯონ ნგუგი, ბოსტონის წლევანდელი მარათონის ჩემპიონი იბრაჰიმ ჰუსეინი და სხვა, ჯერ კიდევ უცნობი მძლეოსნები.

⊙ **63 წლის** ცხენოსანი ქალის კიკუკო ანოუესთვის სეულის ოლიმპიადა მესამე იქნება. პირველად ცხენოსანთა ოლიმპიურ შეჯიბრებაში მან მონაწილეობა მიიღო 1964 წელს ტოკიოში, მეორედ — 1972 წელს მიუნხენში. წლეულს იაპონიის ცხენოსანთა შესარჩევ შეჯიბრებაზე მან ბრძოლით მოიპოვა ოლიმპიური საგზური — მეორე ადგილი დაიკავა 34 წლის ნაოკო საკურაის შემდეგ.

⊙ **მონღოლეთის** ოლიმპიელები პროგრამის ექვს სახეობაში იასპარეზებენ. სეულის სტარტებისთვის გულმოდგინედ ემზადებიან მოკრივეები, მშვილდოსნები, მესტენდურეები, ველოსიპედისტები და, რა თქმა უნდა, ქვეყანაში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობების — თავისუფალი ჭიდაობისა და ძიუდოს ოსტატები. მონღოლეთის ოლიმპიელებს სხვადასხვა დროს 10 ღირსების მედალი აქვთ მოპოვებული. სეულში ისინი ამ კოლექციის გამდიდრებას ვარაუდობენ.

⊙ **„ახლა** ისეთ ფიზიკურ დატვირთვებს ვიღებ, ადრე რომ შეუძლებლად მიმაჩნდა“ — განაცხადა მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის რეკორდსმენმა ბირთვის კვრაში უდო ბაიერმა (გდრ). ამ ნიჭიერ სპორტსმენს შარშანდელი სეზონის მიწურულიდან ფატალურად არ წყალობდა ბედი — რომის მსოფლიო ჩემპიონატში მხოლოდ მეექვსე იყო, მერე იტალიელმა ალესანდრო ანდრეიმ მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა. ყველაფერი ეს გარკვეული კონფლიქტის მიზეზი გახდა მწვრთნელსა და სპორტსმენს შორის. ახლა, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ბაიერს მეორე „სუნთქვა გაეხსნა“ და კვლავ ფავორიტთა მწყობრში ჩადგა.

„სპორტპროგნოზი“

26-ე ტირაჟის შედეგები (25-27 ივნისი)

1—1, 2—1, 3—1, 4—2, 5—1, 6—X, 7—1 8—1, 9—X, 10—1, 11—X, 12—2, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 29 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (გადაცემა ინგლისიდან) — **21.15 (2)** და **0.50 (2)**.

რედაქტორი **თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“;

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05410